



სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ქართული სასუფრა და საღვინე ვაზის ჰიბრიდი



ფირმერებისათვის
თბილისი 2018

კახეთის აღგილდარმობის ჯიშები

ქისი



მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ვაზის ჯიშია. მისგან შესაძლებელია დამზადდეს ევროპული, კახური, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და სადესერტო ღვინო.

ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო ფორმის ან ოდნავ ღვალური. სამ-ხუთნაკვთიანი. ფოთლის ფირფიტას ქვედა მხარეს ახასიათებს ხშირი შებუსვა.

მტევანი საშუალო სიდიდის, განიერ-კონუსური ფორმის, მხრიანი, საშუალო სიკუმის ან თხელი. მარცვალი საშუალო ზომის, ღვალური თხელ-კანიანი, მწვანე-მოყვითალო შეფერვით, საშუალო კონსისტენციის, საკმაოდ დაფარული ცვილისებური ნაფიფექით. ხასიათდება ჯიშური არმატით.


ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის შუა რიცხვები; ყვავილობა - მაისის ბოლო, ივნისის პირველი დეკადა; შეთვალება - აგვისტოს მეორე დეკადა. ჯიში საშუალო სიმწიფის პერიოდისაა. სრულ სიმწიფე-ში შედის სექტემბრის მეორე ნახევრიდან. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 156-160 დღე. ხასიათდება ზრდის საშუალო სიძლიერითა და საშუალო მოსავლიანობით 60-80 ც 1 ჰა. მტევნის საშუალო წონა 195 -280გ. ადვილად ავადდება ნაცრით. შედარებით გამძლეა ზამთრის ყინვების მიმართ.

ქისი პერსპექტიულია ქართლის მევენახეობის რაონებისათვისაც.

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 20.0-24,0%, საერთო მუავიანობა: 6.0-7.9გ/ლ, pH — 3.55

სინონიმი:

ჯანანურა



მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისგან მზადდება სუფრისა და სადესერტო ღვინო. ევროპული წესით დაყენებული ღვინო ღია ჩალისფერია, ჰარმონიული, ნაზი ჯიშური არომატით. კახური წესით დაყენებული კი მდიდარი და მაღალი გემური თვისებისაა.

ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე დიდი, მომრგვალო სამნაკვთიანი ან დაუნაკვთავი. ფირფიტის ზედა მხარე ბადისებრდანაოჭებული, ქვედა მხარე ხასიათდება საშუალო სიხშირის შებუსვით.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირე, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური ფორმის, ფრთიანი. მარცვალი საშუალო ზომის მომრგვალო ან ოდნავ ოვალური ლია მწვანე მოყვითალო ელფერით, მზის მხარეზე არუჯული, თხელკანიანი, საშუალო კონსისტენციის. გემო სასიამოვნო ტებილი, კარგად

გამოხატული ჯიშური არომატით.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე ნახევრიდან, ყვავილობა მაისის ბოლო, ივნისის დასაწყისი; შეთვალება აგვისტოს დასაწყისი. ჯიში საშუალო პერიოდისაა. სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის შუარიცხვებში. სავეგეტაციო პერიოდის სანგრძლივობა 157-162 დღე. საშუალო ზრდის, მოსავალი 1ჰა 45-60კ, მტევნის წონა 160-175გ.

მეტად მგრძნობიარეა სოკოვან დაავადებათ მიმართ. განსაკუთრებით ნაცრის მიმართ. შედარებით ნაკლებ გამძლეა ზამთრის ყინვებისადმი. ჯიში ასევე პერსპექტიულია ქართლისა და მესხეთის სპეციფიკური მიკროზონებისათვის.

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 24.0-25.0%, საერთო მუსიკიანობა: 6.3-8.0გ/ლ, pH — 3.53

გრძელმოვანი



მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისგან მზადდება მაღალი ხარისხის სუფრის ღვინო. ევროპული წესით დაყენებული ღვინო ასევე მაღალი ღირსებისაა. გამოიყენება ზოგიერთი თეთრყურძნიანი ჯიშის ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა გამოსადეგია ადგილობრივი მნიშვნელობის სადესერტო ყურძნად.

ფოთოლი საშუალო ზომის, მომრგვალო ან ოვალური, ხუთნაკვთიანი. ზედაპირი გლუვი, ქვედა მხარე შებუსულია საშუალო სიხშირით.

მტევანი გრძელი, კონუსური ან ცილინდრულ-კონუსური ფორმის, ფრთიანი, მხარი ზოგჯერ მტევნის სიგრძის ნახევარია. ხშირ შემთხვევაში დატოტვილი, საშუალო სიმკვრივის ან თხელი. მარცვალი საშუალო ზომის, მრგვალი, ან მომრგვალო. მომწეანო-მოყვითალო შეფერვის. კანი თხელი, რბილობი ნაზი.

სასიამოვნი გემოთი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა იწყება აპრილის მეორე ნახევრიდან, ყვავილობის დასაწყისი მაისის ბოლოს, ყურძნის შეთვალება ივლისის დაწყისიდან, სიმწიფე დგება სექტემბრის მეორე დეკადაში. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 159-165 დღე. ვაზი საშუალო ზრდისაა. მოსავალი 1ჰა 58-60 კ, მტევნის წონა 265-270 გ.

საქმაო გამძლეობას იჩენს სოკოვანი დაავადების - ჭრაქისა და განსაკუთრებით ნაცრის მიმართ. იტანს -16°C ტემპერატურას. გამძლეა გვალვის მიმართ. ჯიში პერსპექტიულია ქართლის მევენახეობის რაიონებისათვის.

ყურძნის წვენის შაქრიანობა 22.0-22.4%; საერთო მუვიანობა 6.6-7.5გ/ლ, pH 3.55

სიმონასეული



საღვინე ვაზის ჯიშია. მისგან დამზადებული ღვინო კარგი ღირსების, ინტენსიური შეფერვით და ჯიშური არომატით ხასიათდება.

ფოთოლი საშუალო ზომის, მომრგვალო, ხუთნაკვთიანი. იშვიათად სამნაკვთიანი. ზედაპირი გლუვი ან ბადისებურად დანაოჭებული. ქვედა მხარ ხასიათდება სუსტი გართხმული შებუსვით. მის ქვემოთ მოცენილა სუსტი სწორმდგომი ბუსუსები.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომის, ცილინდრულ-კონუსური ფორმის. მხარიანი. მხრები ხშირად ვითარდება მტევნის ორივე მხარეს, რაც მტევანს აძლევს ჯვრის სახეს. საშუალო სიმკვრივის ან მკვრივი. მარცვალი მომრგვალო, მუქი ლურჯი შეფერვის, საკმაოდ დაფარული ცვილისებური ნაფიფქით. რბილობი საშუალო კონსისტენციის, წვენი ოდნავ შეფერილი, გან-

საკუთრებული გემოს გარეშე.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე ნახევრიდან, ყვავილობის დასაწყისი ივნისის პირველ დეკადაში, შეთვალება ივლისის მეორე ნახევარში, სიმნივე სექტემბრის მეორე ნახევარში. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 155 — 160 დღე.

ვაზი საშუალო ზრდის, მოსაგალი 13ა 48-50ც. მტევნის წონა 204-220გ. ჯიში პერსპექტიულია მთისნინა მევენახეობის რაიონებისათვის.

სიმონასეული კარგი გამძლეობით გამოირჩევა ჭრაქისა და ნაცრის მიმართ. შედარებით გამძლეა ყინვისა და გვალვის მიმართაც.

ყურძნის წვენის შაქრიანობა 25.0-26.0%, საერთო მჟავიანობა 7.0-7.5გ/ლ, pH 3.40

ნითელი გუდიშური

სინონიმები: ბუდეშური შავი, ბუდეშური ვარდისფერი, თამარეული



საუფრე დანიშნულების, ნაზი
პროდუქციის მომცემი ვაზის ჯიშია.

ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომ-
რგვალო ან ოდნავ ოვალური ფორ-
მის. სამ-ხუთანაკვთიანი. ფირფიტის
ზედა მხარე ბადისებრდანაოჭებუ-
ლია. ქვედა მხარე ძალიან სუსტადაა
შებუსული გართხმული ბუსუსებით.

მტევანი საშუალო სიდიდის, კო-
ნუსური ფორმის, მხარიანი ან გან-
ტოტვილი. თხელი ან საშუალო სიმ-
კვრივის. მარცვალი საშუალოზე
მსხვილი, ოვალური, ვარდისფერი,
თხელყანიანი, რბილობი საშუალო
კონსისტენციის, წვნიანი, განსა-
კუთრებული გემური თვისებების
გარეშე.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრი-
ლის პირველი ნახევრიდან; ყვავილო-

ბა მაისი ბოლო ივნისის დასაწყისი;
შეთვალება სექტემბრის მეორე ნახ-
ევრიდან. სავეგეტაციო პერიოდის
სანგრძლივობა 159-164 დღე. ვაზი
საშუალოზე ძლიერი ზრდისაა. შესა-
ძლებელია გამოყენებული იქნეს სახ-
ევენედაც. მოსავალი 1ჰა 100-120ც.
მტევნის წონა 250-300გ. ჯიში რეგუ-
ლარული და უხვმოსავლიანია.

ჭრაქისა და ნაცრის მიმართ საკმაოდ
გამძლეა. ადვილად ზიანდება ვაზის
აბლაბუდისმკეთებელი ტკიპათი.
ყინვისა და გვალვის მიმართ საშუა-
ლო გამძლეა.

ჯიში პერსპექტიულია ქართლის მევ-
ენახეობის რაიონებისათვის.

ყურძნის წვენის შაქრიანობა 19.2-
20%; საერთო მჟავიანობა 4.5-6.1გ/
ლ; pH 3.56

ქართლის ადგილნარმობის ჯიშები

გორული მცვალე

სინონიმები: მწვანე, თეთრფოთოლა, სურამულა, ჯიშიანი, ლურჯი მწვანე, ქვიშხური



მაღაბარისხოვანი საღვინე და ადგილობრივი მოხმარების სასუფრე ვაზის ჯიშია.

მისი პროდუქცია გამოიყენება ევროპული ტიპის, შემაგრებული საფესერტო და საკუპაჟე მასალად ცქრიალა ღვინის მისაღებად.

ფოთოლი საშუალოზე დიდი ზომისა, მომრგვალო ან ოდნავ განიეროვალური. ხუთნაკვთიანი. ფოთლის ქვედა მხარეს ახასიათებს ხშირი შებუსვა.

მტევანი საშუალო სიდიდის, განიერკონუსური, ხშირად განტოტვილი. საშუალო სიკუმსის, იშვიათად კუმსი. მარცვალი საშუალო ზომის, მომრგვალო, მომწვანო-მოყვითალო. სქელკანიანი, სასიამოვნო, ტკბილი ხალისიანი მომჟავო გემოთი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა იწყება აპრილის მეორე დეკადაში; ყვავი-

ლობის დასაწყისი მაისის ბოლო, ივნისის პირველი ნახევარი; შეთვალება აგვისტოს პირველი ნახევრიდან; სიმწიფე ოქტომბრის პირველი ნახევარი. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 165-171 დღე. ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდისაა. მოსავალი 1ჰა 70-80ც. მტევნის წონა 200-255ც.

ჯიშს ახასიათებს ყვავილცვენა. მის სანინაალმდეგოდ აუცილებელია სწორი ფიტოტექნიკური ღონისძიებების ჩატარება. სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ ნაკლებად გამდლენა. კარგად უძლებს ზამთრის ყინვებს. ჯიშის თავისებურებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მისი ნარმოება ქართლის, გარე კახეთის და მესხეთის მევენახეობის რაიონებისათვის

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 23.5-24%, საერთო მჟავიანობა: 6.0-7.5გ/ლ, pH-3.33

შავკაპიტა

სინონიმები: შავკაპიტა, შავი კაპიტო, ბლაუჰერცერ (ლურჯლერწიანი)

სალვინე ვაზის ჯიშია. მზადდება მაღალსარისხოვანი ღვინო.



ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომ-
რგვალო ან ოვალური ფორმის, ღრ-
მად

დანაკვთული. მკვეთრად გამოხატ-
ული მუქი მწვანე შეფერვის, ფირ-
ფიტის ზედაპირი გლუვი ან ბურ-
თულოვანი, სამ-ხუთნაკვთიანი.
ფირფიტა ქვედა მხრიდან შებუსუ-
ლია საშუალო სიხშირით.

მტევანი საშუალო ზომის, ცილინ-
დრულ-კონუსური ფორმის, კუმსი,
ახასიათებს ორი მხარი, რომელთა
სიგრძე ზოგჯერ მტევნის სიგრძის
ნახევარს აღნევს. მარცვალი საშუ-
ალო ზომის, მომრგვალო ფორმის,
მუქი ლურჯი შავ ფერში გარდამა-
ვალი. კანი თხელი, მკვრივი, ჩვეუ-
ლებრივი ტებილი გემოთი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრი-

ლის მეორე ნახევრიდან, ყვავილობა
მაისის ბოლო, ივნისის პირველი
დეკადა; შეთვალება - აგვისტოს
დასაწყისი. ჯიში საშუალო ან სა-
შუალოზე საგვიანო პერიოდისაა
(სექტემბრის ბოლო ოქტომბრის
პირველი ნახევარი). სავეგეტაციო
პერიოდის ხანგრძლივობა 170-175
დღე.

ვაზი საშუალო ზრდისაა და მოსაფა-
ლი 1პა 60-75ც. მტევნის საშუალო
წონა 190-220გ. სოკოვან დაავადე-
ბათა მიმართ საკმაოდ გამძლეა. შე-
დარებით გამძლეობას იჩენს გვალ-
ვის მიმართ. ჯიში პერსპექტიულია
მესხეთის მევენახეობის რაიონები-
სათვის.

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 23.8-
24.2%, საერთო მჟავიანობა: 4.2-
8.4გ/ლ, ყურძნის წვენის pH-3.86

გორულა

სინონიმები: გლდანულა, სუფრის გორულა, მრგვალი ყურძენი



მაღალხარისხოვანი სასუფრე ყურძნის ჯიშია. ხასიათდება მაღალი გემური თვისებებით, ხანგრძლივი შენახვისუნარიანობით და ტრანსპორტაბელობით. ზოგჯერ გამოიყენება სხვა ჯიშებთან კუპაჟში სუფრის ღვინის დასამზადებლად.

ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური ფორმის,

ხუთნაკვთიანი. ზედაპირი საშუალო ბურთულოვნებით, ფირფიტის ქვედა მხარე შეუბუსავია.

მტევანი საშუალო, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური ფორმის. საშუალო სიკუმისის ან კუმისი. მარცვალი საშუალო ზომის, ოდნავ ოვალური, კანზე ყავისფერი წინწკლებით. მომწვანო-მოყვითალო, სქელყანიანი, საშუალოზე მკვრივი კონსისტენციის, სასიამოვნო ტკბილი გემოთი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის პირველი დეკადა, ყვავილობა ივნისის პირველი ნახევრი; შეთვალება აგვისტოს პირველი დეკადა. არის საგვიანო სიმწიფის პერიოდის, მწიფდება აქტომბრის მეორე ნახევრიდან. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 172-178 დღეა.

გამოირჩევა ძლიერი ზრდით. დიდი დატვირთვის შემთხვევაში იძლევა უხვ მოსავალს. აქედან გამომდინარე ჯიში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სახეივნედაც. 1 ჰა მოსავალი 90-100კ. მტევნის საშუალო წონა 190-220გ.

სოკოვან დაავადებათა მიმართ ჯიშს ახასიათებს საკმაო გამძლეობა. ყინვისა და გვალვის მიმართ საშუალო გამძლეობისაა.

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 22-23.7% ; საერთო მუსიკიანობა: 6.8-7.0გ/ლ, ყურძნის წვენის pH-3.6

თითა ქართლური

სინონიმები: თითა, თითა ყურძენი, რბილთითა, ატენის თითა



სასუფრე ყურძენის ჯიშია. ნაკლებად ტრანსპორტაბეჭურია. პროდუქტი ადგილობრივი მნიშვნელობისაა.

ფოთოლი საშუალო ზომის, მუქი მწვანე, მომრგვალო ან ოვალური ფორმის ხუთნაკვთიანი. ღრმად დანაკვთული. ფირფიტის ზედაპირი გლუვი, ფოთლის ქვედა მხარე შეუბუსავი.

მტევანი საშუალო ზომის, ცილინდრულ-კონუსური, ფრთიანი, კუმსი. არის საშუალო სიკუმსის და თხელი მტევნებიც. მარცვალი მოგრძო ოვალური, საშუალო ზომის. მოწვანო-მოყვითალო, მზის მხარეზე მოვარდისფრო-მოყავისფრო. კანი

თხელი, საშუალო კონსისტენციის საკმაო რბილობიანი და წვნიანი. მეტად ტკბილი და სასიამოვნო გემოთი. მცირედ ან საშუალოდ დაფარული ცვილისებური ნაფიფექით.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე ნახევრიდან, ყვავილობა მაისის ბოლოს-ივნისის პირველი დეკადა; შეთვალება აგვისტოს დასაწყისი, ჯიში საშუალო-საადრეო ან საშუალო პერიოდისა (სექტემბრის დასაწყისი - სექტემბრის დასასრული). სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 156-160 დღე.

მცენარე საშუალოზე ძლიერი ზრდით ხასიათდება და საშუალო მოსავლიანობით. მტევნის საშუალო წონა 250- 320გ. ჯიში გამოიყენება სახეივნედაც.

სოკოვან დაავადებათა მიმართ საშუალო გამძლეობისაა. საკმაოდ კარგად იტანს ზამთრის ყინვებს და გვალვაგამძლეა. პერსპექტიულია მთისწინა რაიონებისათვის.

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 20-22% საერთო მუავიანობა: 5.3-6.0 გ/ლ, ყურძნის წვენის pH -3.43

იმარეთის ადგილნარმობის ჯიშები

კუნძა

სინონიმები: კუმსი ყურძენი, მწვანე, კუმსა



სალვინე ვაზის ჯიშია. მისი ღვინო საკმაოდ სხეულიანია, კარგად გამოხატული ჯიშური არომატით, სასიამოვნო მჟავიანობით. შედარებით მაღალი შაქრიანობისა და მაღალი მჟავიანობის გამო გამოიყენება უალკოჰოლო ცურძნის წვენისა და საკონიაკე მასალის დასამზადებლად.

ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური, სამნაკვთიანი. ფირფიტის ზედა მხარე ბურთულოვანია. ქვედა მხარეს აქვს ხშირი შებუსვა.

მტევანი საშუალო სიდიდის, განიერ-კონუსური მხრიანი, ძლიერ კუმსი. მარცვალი საშუალო სიდიდის, მომრგვალო ან ოვალური ფორმის, ღია მწვანე მოყვითალო ელფერით, სქელკანიანი, ტკბილი ოდნავ მომ-

ჟავო გემოთი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა ივნისის მეორე ნახევრიდან, ყვავილობა ივნისის პირველი ნახევარი, შეთვალება აგვისტოს მეორე ნახევრიდან. სრულ სიმნივეში შედის ოქტომბრის პირველ ნახევარში. სავეგეტაციო პერიოდი 170-175 დღე.

ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდისაა და საკმაოდ მოსავლიანი, 1 ჰა 75-85 ც. მტევნის წონა 180-200 გ. სოკოვან დაავადებათა მიმართ ნაკლებ მგრძნობიარეა. აგრეთვე საკმაოდ გამძლეა ზამთრის ყინვებისადმი. ჯიში პერსპექტიულია შავი ზღვის სანაპიროს რაიონებისათვის.

ცურძნის წევნის შაქრიანობა: 22.7-24.2%, საერთო მჟავიანობა: 6.0-8.2 გ/ლ, pH 3.51

მაღლობლივილი



სალვინე ვაზის ჯიშია. გამოიყენება ოცხანურ საფერესთან ერთად საკუპაჟედ.

ფოთოლი: საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომისაა, მომრგვალო - მოოვალო ფორმის, სამნაკვთიანი. ზედაპირი გლუვი ან წვრილბურთულოვანი. ქვედა მხარე შებუსულია.

მტევანი საშუალოზე დიდი ზომის, ცილინდრულ-კონუსური ან ცილინდრული ფორმის. მხრიანი. მკვრივი. მარცვალი მომრგვალო ან ოდნავ ოვალური საშუალო სიდიდის. სიმნივეში მუქი წითელი, ცვილისებური ნაფიფერით ძლიერ დაფარული. სქელკანიანი, რბილი კონსისტენციის, წვიანი, ტკბილი, განსაკუთრებული

გემური თვისებების გარეშე.

ფენოლოგია კვირტის გაშლა აპრილის პირველ ნახევარში; ყვავილობა მასისის ბოლოდას იქნის დასაწყისში; შეთვალება აგვისტოს პირველი ნახევარიდან. ჯიში საგვიანო პერიოდისაა და სრულ სიმწიფეში შედის ოქტომბრის დასაწყისში. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 170-175 დღე. ვაზი საშუალო ზრდისაა.

მოსავალი 1ჰა 70-80ტ. მტევნის წონა 460-490გ.

სოკოვან დაავადებათა მიმართ სუსტი გამძლეობისაა. განსაკუთრებით ჭრაქის მიმართ. მარცვალი ზიანდება ნაცრისფერი სიდამპლით.

ყურძნის წვენის შაქრინობა 22.1-22.8%; საერთო მუვიანობა 6.8-7გ/ლ; ყურძნის წვენის pH 3.35

მცხაოსნი საფერო



სალვინე ვაზის ჯიშია. მისი პროდუქცია გამოიყენება ინტენსიურად შეფერილი, მარალხარისხოვანი, ნითელი ღვინის დასამზადებლად.

ფოთოლი საშუალო ზომის, მცირედოვალური ფორმის. სამ-ხუთნაკვთიანი. ფირფიტის ზედაპირი წვრილ-ბურთულოვანი. ქვედა მხარეს ხშირი შებუსვით.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირეა. ცხილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური. ხასიათდება მოკლე მხიანობით. მკვრივი, ან საშუალო სიმკვრივის. მარცვალი მომრგვალოა, საშუალოზე პატარა ზომის. ჯიშს ახასიათებს მარცვლის არათანაბარი განვითარება. სქელკანიანი და მკვრივია. წვენი ღია

ვარდისფრად შეფერილი, ტკბილი მომუავი გემური თვისებებით.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე დეკადაში; ყვავილობა ივნისის დასაწყისში; შეთვალება აგვისტოს მეორე ნახევრიდან. ჯიში საგვიანო პერიოდისაა და მნიშვნელოვანი. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 181-187 დღე. ვაზი საშუალო სიძლიერის ზრდისაა. 1ჰა 60-70ტ. მტევნის წონა 150-166გ. ჯიში პერსპექტიულია შუა და ზემო იმერეთის რაიონებისათვის

ყურძნის წვენის შაქრინობა 21.7-21.8%; საერთო მუვიანობა 7.8-9.2გ/ლ; pH 3.17

რაჭა-ლეჩეუმის აღგილდერმობის ჯიშები

ცულუკიძის თათრა

სინონიმი: რაჭული თეთრა



მაღალხარისხისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ვაზის ჯიშია.



ლი გემოთი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე დეკადაში; ყვავილობის დასწყისი მაისი ბოლოდან; შეთვალება ივლისის მეორე ნახევრიდან. ჯიში საშუალო სიმწიფეის პერიოდისაა, სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის შუა რიცხვებში. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 160-164დღე. ვაზი საშუალო ზრდისაა და უხვმოსავლიანი. 1პა მოსავალი 60-95ც. მტევნის წონა 285-293გ. სოკოვან დაავადებათა მიმართ შედარებით გამძლეა.

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 21.5-22.3%; საერთო მუავიანობა: 6.6-7.0გ/ლ; pH - 3.63

უსახელობრივი

სინონიმი: ოყურეშული

საღვინე ვაზის ჯიშია. პროდუქცია გამოიყენება მღალხარისხოვანი სუფრის და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინის დასამზადებლად.

ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე შცირეა, მოშრგვალო ან განიეროვალური, სამ-ხუთნაკვთიანი,

გვხვდება სრულიად დაუნაკვთავი ფოთლებიც. ზედა მხარე გლუვი ან ბურთულისებრი. ქვედა მხარეს ახასიათებს სუსტი შებუსვა.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირე ზომის, ცილინდრულ-კონუსური ფორმის. ახასიათებს მხარიანობა.



მკვრივია ან საშუალო სიმკვრივის. მარცვალი საშუალო, მომრგვალო. სრულ სიმწიფეში მუქი ლურჯი, შავ ფერში გარდამავალი, კანი თხელი, საკმაოდ წვნიანი, საშუალო კონსისტენციის რბილობით. სასიამოვნო ტკბილი გემოთი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე ნახევრიდან; ყვავილობა ივნისის პირველ ნახევარში; შეთვა-ლება აგვისტოს პირველი ნახევრი-დან. ჯიში საშუალო ან საშუალოზე

საგვიანო პერიოდისაა, ყურძენი ოქტომბრის პირველ ნახევარში მწიფდება. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 180-185 დღე. ვაზი საშუალო ზრდისაა და საშუალო მოსავლიანი 1ჰა 50-60 ც. მტევნის წონა 150-200გ. განსაკუთრებით ადვილად ავადდება ჭრაქით.

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 25-26.0% ; საერთო მუვიანობა: 6.3-7.5გ/ლ; pH - 3.45

გურიის აღგილდარმობის ჯიშები

საკმილა



მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია

ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომ-

რგვალო ან ოდნავ ოვალური ფორმის. სამნაკვთიანი. ფირფიტის ზედა-პირი ბურთულისებურია, ქვედა მხარეს ხშირი ახასიათებს შებუსვა.

მტევანი ცილინდრულ-კონუსური, არის უფორმო მტევნებიც. მტევნის ყუნწის მუხლიდან ახასიათებს განტოტვა. მტევანი საშუალო სიმკვრივისაა, იშვიათად თხელი. მარცვალი ღია მწვანე, მზის მხარეზე მონითალო-ქარვისფერი. მომრგვალო, საშუალო სისქის კანი. წვნიანი, რბილობი საშუალო კონსისტენციის, სასიამოვნო გემოთი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე ნახევრიდან; ყვავილობა ივნისის პირველი ნახევრიდან; შეთვალების დასაწყისი ივლისის ბოლოს. სრული სიმწიფე ოქტომბრის მეორე

ნახევრიდან. სავეგეტაციო პერიოდი ხანგრძლივობა 185-190 დღე.

ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდისა, საშუალო მოსავლიანი. მტევნის წონა 166-210გ. სოკოვანი დაავადებების მიმართ ნაელებად გამძლეა, განსაკუთრებით ნაცრის მიმართ. ჯიში პერსპექტიულია აღმოსავლეთ და დასავლეთ გურიის მთისნინა მევენახეობის რაიონებისათვის.

ყურძნის წევნის შაქრიანობა 19.0-20.7%; საერთო მჟავიანობა 7.3-9.8გ/ლ; pH 3.49

კამური თეთრი

სინონიმები: კამურა, კამურის ყურძენი



საღვინე და სასუფრე ვაზის ჯიშია.

ფოთოლი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. მომრგვალო ფორმის, სამნაკვთიანი. ზედაპირი ბადისებრდანაოჭებულია. არის გლუვზედაპირიანი ფოთლებიც. ქვედა მხარე საშუალოზე ძლიერი სიხშირითა შებუსული.

მტევანი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა. (ცილინდრულ-კონუსური ფორმის, ახასიათებს განტოტვა. აგებულებით თხელია, ზოგჯერ საშუალო სიმკვრივის. მარცვალი მოგრძო-ოვალური, სა-

შუალოზე მსხვილი, მომწვანო, მზის მხარეზე მოყვითალო ქარვისფერი, სქელკანიანი, რბილობი მკვრივი კონსისტენციის, სასიამოვნო ტკბილი გემური თვისებებით.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე ნახევრიდან; ყვავილობა ივნისის პირველი ნახევრიდან; შეთვალება სექტემბრის დასწყისში. სრულ სიმწიფეში შედის ოქტომბრის მეორე ნახევრიდან. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 180-185 დღე. ვაზი ძლიერი ზრდისაა და უხვმოსავლიანი. 1პა 70-80ც. მტევნის წონა 215-227გ.

სოკოვან დაავადებათა მიმართ იჩენს დიდ მგრძნობელობას. ახასიათებს ყვავილცვენა, რის შედეგადაც მიიღება თხელი მტევნები. ჯიში პერსპექტიულია სუფრის ყურძნის წარმოების თვალსაზრისით, რადგან სიმწიფის გვანი პერიოდი ახასი-

ათებს, გამოირჩევა კარგი შენახვი-სუნარიანობით და ტრანსპორტაბელობით.

ყურძნის წვენის შაქრიანობა: 21.8-22.4%; საერთო მჟავიანობა 6.9-7.8გ/ლ; pH-3.56

ძუმუტა

სინონიმები: ჯუმუტა, ჯუმუტაი



მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია.



ანი. წვენი შეფერვის გარეშე. სასიამოვნო გემური თვისებებით.

ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე დიდია და მომრგვალო ფორმის, სამ-ხუთნაკვთანი. ფირფიტის ზედა მხარე ბადისებრდანაოჭებული, ქვედა მხრიდან დაფარულია გართხმული ბუსუსუებით.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირე, ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსური. მხრიანი. მკვრივი ან ძალიან მკვრივი. არის საშუალო სიმკვრივის მტევნებიც. მარცვალო მომრგვალო, მუქი ლურჯი, ძლიერ გამოხატული ცვილისებური წაფიფქით. კანი მკვრივი, რბილობის საშუალო კონსისტენციის და წვინი-

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე დეკადაში, ყვავილობა ივნისის დასაწყისში; შეთვალება აგვისტოს მეორე ნახევრის შემდეგ. სრული სიმწიფე ოქტომბრის მეორე ნახევრიდან. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 180-185 დღე. ვაზი საშუალო ზრდის და საშუალო მოსავლიანია. 1ჰა მოსავალი 60-70ც. მტევნის წონა 137-180გ.

ავადდება ჭრაქით და ნაცრით.

ყურძნის წვენის შაქრიანობა 22.7-23%; საერთო მჟავიანობა 7.5-9გ/ლ; pH- 3.25

ალაზანის მდებარეობა



ხარისხოვანი საღვიწე ვაზის ჯიშია. ყურძნის გადამნიფებისას ალაზანის პროდუქცია გამოიყენება ნახევრად ტკბილი ღვიწის დასამზადებლად. გამოიყენება აგრეთვე აღილობრივი მნიშვნელობის სასუფერე ყურძნად.

ფოთოლი საშუალოზე დიდია და ოვალური ფორმის. სამ-ხუთნაკვთიანი. ზედა მხარე ბადისებრ დანაოჭებულია. ქვედა მხრიდან დაფარულია ხშირი გართხმული შებუსვით.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე დიდი ზომისაა, ივითარებს მხარს, რომელიც ხშირად მტევნის სიგრძის ნახევრად. საშუალო სიმკერივისაა ან მკვრივი. მარცვალი საშუალო ან საშუალოზე მსხვილი, ოვალური ან მოგრძო, სქელკანიანი. ძლიერ დაფარული ცვილისებური ნაფიქტით. რბილობი საშუალო კონსისტენციის

და წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემური თვისებებით.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე ნახევრის შემდეგ; ყვავილობა ივნისის დასწყისიდან; შეთვალება აგვისტოს ბოლოს. სრული სიმწიფე ოქტომბრის ბოლოს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 185-191 დღე. ვაზი ძლიერი ზრდისაა და უხევმოსავლიანი. 1ჰა 70-90 ც. მტევნის წონა 350-422 გ.

ჯიში საშუალო გამძლეობისაა ჭრაქისა და ნაცრის მიმართ. როგორც მაღალხარისხოვანი პროდუქციის მქონე და ადგილობრივი მნიშვნელობის სასუფრე ჯიში, მიზანშენონილია დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიანი რაიონებისათვის.

ყურძნის წევნის შაქრიანობა 20-21%; საერთო მჟავიანობა 7.5-8.5 გ/ლ; pH 3.26

სამეცნიერო ადგილობრივი ჯიშები

ჭვიტილური

სინონიმები: ჭვიტილური, ჭყვიტილური

მაღალხარისხოვანი პროდუქციის საღვიწე ვაზის ჯიშია.

ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო ან ოვალური. სამ ნაკვთიანი.

ზედა მხარე ბადისებრ დანაოჭებული, ქვედა მხრიდან ხშირი შებუსვით.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე პატარა ზომის, ცილინდრული, იშვია-



თად ცილინდრულ-კონუსური. საკ-მაოდ მკვრივი. მარცვალი საშუალო სიდიდის და მომრგვალო ფორმის. საკმაოდ სქელვანიანი, წვნიანი და საშუალო კონსისტენციის რბილობიანი.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე დეკადაში; ყვავილობა ივნისის დასწყისი; შეფარვალება ივლისის ბოლოს. ყურძნის სრული სიმწიფე ოქტომბრის ბოლოს. სავეგ-ეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 189-194 დღე. ვაზი საშუალოზე ზღ-

იერი ზრდისაა და საკმაო მოსაც-ლიანი, 1ჰა 70-80ტ. მტევნის წონა 115-121გ.

ჭრაქის მიმართ სუსტი გამძლეობით ხასიათდება. შედარებით კარგად იტანს ყინვას და ზაფხულის გვალვებს. ჯიში პერსპექტიულია სამეგრელოს მთისპირა მევანახეობის რაიონებისათვის.

ყურძნის წვენის შაქრიანობა 19.3 — 21.5%; საერთო მუავიანობა 8.9-10.6გ/ლ; pH — 3.40

ოჯახები

სინონიმები: შონური, სვანური



მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისგან დამზადებული ღვინო სრული ჰარმონიულობით და მდიდარი ჯიშური არომატით ხასიათ-დება. მოსავლის გვიან აღების შემთხვევაში შესაძლებელია ნახევრად ტკბილი ღვინის დამზადება.

ფოთოლი საშუალო ზომის, მომრგვალო ან ოდნავ განიერ-ოვალური. სამ ნაკვთიანი. ზედა მხარე გლუვი ან ბადისებრ დანაბნებული. ქვედა მხრე ხშირი შებუსვით.

მტევანი საშუალოზე მცირე, ცილინდრულ-კონუსური. ხშირად ფრთიანი. საშუალო სიმკვრივის. არის თხელი მტევნებიც. მარცვალი საშუალო ან საშუალოზე მცირე ზომის. სქელკანიანი და საშუალო კონსისტენციის რბილობით.

სასიამოვნო გემური თვისებებით.

ფენოლოგია: კვირტის გაშლა აპრილის მეორე დეკადაში; ყვავილობა მაისის ბოლო, ივნისის დასაწყისი; შეთვალება აგვისტოს ბოლოს. ყურძნის სიმწიფე დგება ოქტომბრის ბოლოს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 185-188 დღე. ვაზი საშუალო ან საშუალოზე ძლიერი ზრდისაა, საშუალო მოსავლიანი. მოსავალი 1ჰა

60-62გ. მტევნის წონა 190-198გ.

სოკოვანი დაავადებებიდან (ჭრაქი და ნაცარი) ადვილად ავადდება ნაცრით.

ჯიში პერსპექტიულია სამეგრელოს მთისპირა რაიონებისათვის.

ყურძნის წვენის შაქრიანობა 21.5-23%; საერთო მუავიანობა 8.4-9.5გ/ლ; pH - 3.44

უფრო ვრცელი განმარტებებისა და კონსულტაციებისათვის მოცემულ თემაზე შეგიძლიათ

მიმართოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს!

0159, საქართველო თბილისი,

მარშალ გელოვანის გამზ. №6

შემდგენელი: ლონდა მამასახლისაშვილი, სოფლის მეურნეობის დოქტორი



სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
www.srca.gov.ge